სამუშაოთა მეთოდოლოგია

- სამუშაოთა თანმიმდევრობა -
  სამუშაოთა თანმიმდევრობა მოცემულია გეგმა გრაფიკში.
- მუშახელის რაოდენობა -
  პროექტის მენეჯერი, საქმეთა მწარმოებელი, ბრიგადირი, 4 მემონტაჟე.
- მანქანა მექანიზმები -
  ელექტრო ხელსაწყოები (ბურღი, ტესტერი და ა.შ.)
- სამუშაო საათები და დასვენების დღეები

სამუშაო საათები და დასვენების დღეები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

- ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოება

შპს „მონტაჟ ჯორჯიას“ საქმიანობა ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მხრივ სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან. კომპანიის წესდება ითვალისწინებს შემდეგს:

მუხლი 8. ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.

1. შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯიას“ (შემდგომში - ორგანიზაცია) ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრავს ორგანიზაციის შეხედულებებს ორგანიზციაში დასაქმებული პირებისა და ორგანიზაციის სამუშაოებში ჩართული სხვა პირების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე.
2. მხარეები აღიარებენ ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას ორგანიზაციისთვის.
3. დამსაქმებელი ვალდებულია გააცნოს დასაქმებულს ორგანიზაციის ჯანმრთელობის და შრომის
უსაფრთხოების პოლიტიკა და აკონტროლოს პოლიტიკაში არსებული მოთხოვნების დაცვა დასაქმებულთა მხრიდან.
4. დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს ორგანიზაციის ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრულ წესებს და დაიცვას ისინი.
5. ორგანიზაციის ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა მოიცავს შემდეგ პრინციპებს:
5.1. დამსაქმებლის მიერ სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
5.2. შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დაცვისათვის პასუხისმგებელი პირის/პირების განსაზღვრა;
5.3. დასაქმებულთა ინფორმირება ინსტრუქტაჟით, ინსტრუქციების გამოკვრის, ობიექტების ნიშანდების, დასაქმებულთა ტრენინგის, რისკების შეფასებისა და მართვის მეშვეობით.
5.4. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს მიაწოდოს მომეტებულ ტექნიკურ საფრთხესთან დაკავშირებული ინფორმაცია.
5.5. დასაქმებულს, რომელიც იმყოფება სამუშაო ადგილზე, უფლება აქვს, იცოდეს:
5.5.1. რა სახის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაოს ასრულებს;
5.5.2. რა შედეგებს გამოიწვევს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დაუცველობა როგორც პირადად მისთვის, ისე გარშემომყოფთათვის;
5.5.3. რა ღონისძიებებია განსახორციელებელი უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად.

6. ორგანიზაციის ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს და ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოებისსახელმძღვანელოს - „უსაფრთხოების წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“.
(დანართი #1)
7. ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკაში გაწერილი წესების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები (შემდგომში - „საქმეთა მწარმოებელი“) ვალდებულია ხელმძღვანელობდეს საკუთარ სამუშაო ჯგუფს აღნიშნულ დოკუმენტში (დანართი #1) მოცემული მითითებებით.
8. ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელოს დანიშნულებაა უზრუნველყოს საქმეთა მწარმოებლების მიერ შესრულებული სამუშაო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების პრინციპების დაცვით.
9. ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელო განკუთვნილია იმისთვის, რომ ორგანიზაციამ აღასრულოს თავისი სამართლებრივი და სახელშეკრულებო ვალდებულებები საკუთარი თანამშრომლებისთვის და სხვებისთვის უსაფრთხო გარემოში.
10. ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელო მოიცავს:
10.1. უსაფრთხოების ტექნიკის წესებს ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას, რაც თავისმხრივ მოიცავს ელექტრული ქსელების ელექტროდანადგარების და მოწყობილობების მონაჟის, გამოცდის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების ტექნიკის ნორმებს და ვრცელდება იმ სამუშაოების ჩამტარებელე პერსონალზე და სხვა ფიზიკურ პირებებზე, რომლებიც ახორციელებენ ელექტროდანადგარების ტექნიკურ მომსახურებას, ოპერატიულ გადართვას, ასრულებენ საპროექტო სამშენებლო, სამონტაჟო, გაწყობის, სარემონტო სამუშაოებს, გამოცდებს და გაზომვებს.
10.2. ორგანიზაციულ - ტექნიკურ ღონისძიებებს, რაც თავისმხრივ მოიცავს:
10.2.1. მოთხოვნებს, რომლითაც ელექტროდანადგარებზე სამუშაოს დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი პროფესიული მომზადების მქონე პირები; (დანართი #1 - მუხლი 4)
10.2.2. ოპერატიულ მომსახურებას და ელექტროდანადგარების დათვალიერებას; (დანართი #1 - მუხლი 5)
10.2.3. სამუშაოთა შესრულების წესებსა და პირობებს; (დანართი #1 - მუხლი 6 - მუხლი 30)
10.3. საერთო მოთხოვნებს სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაციების პერსონალის სამუშაოდ დასაშვებად მოქმედ ელექტროდანადგარების და ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში. (დანართი #1 - მუხლი - 80 – მუხლი 83)
10.4. სამუშაოთა ჩამონათვალს, რომლებზეც შრომის მძიმე და მავნე პირობების გამო აკრძალულია 18 წლამდე ასაკის პირთა დასაქმება;
10.5. სამუშაოების დაწყებამდე სამუშაოების ინსტრუქტაჟის ჩატარების წესებს, მექნიზმებს და ინფორმაციას პასუხისმგებელ პირებზე;
10.6. ინფორმაციას უსაფრთხოების პლაკატებზე.

- გადაუდებელი დახმარება

შპს „მონტაჟ ჯორჯიას“ თანამშრომლები უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის - თეიმურაზ ხუნდაძის მიერ ინფორმირებულნი არიან პირველადი დახმარების აღმოჩენის პრინციპების შესახებ. სამშენებლო ობიექტზე ხდება მათი უზრუნველყოფა უსაფრთხოებისათვის საჭირო აღჭურვილობით (ჩაფხუტი, ჟილეტი, სხვ.) და თან აქვთ პირველადი დახმარების ყუთები.

- ხმაურის და მტვერის კონტროლი/დასუფთავება/გარემოზე ზემოქმედება

შპს „მონტაჟ ჯორჯიას“ საქმიანობა გარემოს დაცვის მხრივ სრულ შესაბამისობაშია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან. კომპანიის წესდება ითვალისწინებს შემდეგს:

მუხლი 15. ორგანიზაციის გარემოს დაცვის პოლიტიკა

1. შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯიას“ (შემდგომში - ორგანიზაცია) გარემოს დაცვის პოლიტიკა განსაზღვრავს ორგანიზაციის შეხედულებებს ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
2. გარემოს დაცვის პოლიტიკა წარმოადგენს ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტიას, რომელიც ადგენს ორგანიზაციის და მასში დასაქმებული პირების პასუხისმგებლობებს, შეხედულებებს და პრინციპებს გარემოს დაცვის მიმართუებით.
3. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანია განისაზღვროს და დაიგეგმოს ორგანიზაციის ფარგლებში ქცევები და წესები, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარემოს დაცვის პრინციპების გატარებას.
4. აღნიშნული პოლიტიკა გრძელვადიანი ხასიათისაა, თუმცა ის საჭიროებს პერიოდულ გადაახედვას და განახლებას.
5. ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი და კონტრაქტორი ვალდებულია იცნობდეს აღნიშნულ პოლიტიკას და იცავდეს მას.
6. მხარეები აღიარებენ გარემოს დაცვის პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას ორგანიზაციისთვის.
7. დამსაქმებელი ვალდებულია გააცნოს დასაქმებულს ორგანიზაციის გარემოს დაცვის პოლიტიკა და აკონტროლოს პოლიტიკაში არსებული მოთხოვნების დაცვა დასაქმებულთა მხრიდან.
8. დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს ორგანიზაციის გარემოს დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულ წესებს და დაიცვას ისინი.
9. ორგანიზაციის გარემოს დაცვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ პრინციპებს:
9.1 ორგანიზაციის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა არ უნდა მიაყენოს ზიანი გარემოს;
9.2 არასაწარმოო ხარჯების შემცირება - ენერგიისა და რესურსების გაცილებით რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება;
9.3 ორგანიზაცია ცდილობს დანერგოს და შესთავაზოს მომხმარებელს თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიები. ორგანიზაციის ოფისი აღჭურვილია თანამედროვე ენერგოეფექტური მოწყობილობებით.
9.4 ორანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოების შემდეგ უნდა მოხდეს ნარჩენების შემცირება და და მათი გამოყენების ახალი მიმართულებების ორგანიზება;
9.5 ორგანიზაციის გარშემო არსებული ტერიტორიის გამწვანება.

შპს „მონტაჟ ჯორჯია“
ს/კ: 205 258 335

_____

დავით კახიანი
დირექტორი

შპს "მონტაჟ ჯორჯია" * "MONTAGE GEORGIA" LTD * 205258335